საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№5 პერიოდული გამოცემა 2014 წლის მაისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

გასული თვის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის მინდა საგანგებოდ გამოვყო საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, სადაც 2008–2013 წლებში ოფისის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია შედგა. წინა წლებთან შედარებით, 2013 წელს რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი შედარებით მაღალია, თუმცა ვისურვებდი, რომ სახელმწიფო ინსტიტუციები მეტი გულისხმიერებით ეკიდებოდნენ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს.

ბუნებრივია, საინტერესო იყო კვლევის შემდგომ ცალკეული უწყებების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რეაქციები და მცდელობებიც კი, საზოგადოებისთვის აეხსნათ, რომ ისინი ყურადღებით იხილავენ ამა თუ იმ რეკომენდაციას, რიგ შემთხვევებში ითვალისწინებენ მათ, ხოლო შეუსრულებლობასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტებიც გააჩნიათ. ეს არის თვისობრივად ახალი დამოკიდებულება ინსტიტუციის მიმართ, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებისკენ გადადგმული სწორი ნაბიჯები, რაც ქვეყანაში ადამიანის – როგორც უმთავრესი ღირებულების – უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას წაადგება. პირველად ამ ღონისძიებაზე გავახმოვანე ოფისის გადაწყვეტილება, გამოვავლინოთ და კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული წესით დავაჯარიმოთ ყველა ის თანამდებობის პირი, რომელიც სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას აარიდებს თავს. ამ ბერკეტის ამოქმედება დააჩქარებს დარღვეული უფლებების შესახებ საკითხის შესწავლის პროცესს და ეფექტიანს გახდის ჩვენი ოფისის საქმიანობას.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი თემა 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო საქმიანობა 7
6. გასული თვის მოვლენები 8
7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა 12
8. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 13
9. სხვა სიახლეები 14
10. ღირსშესანიშნავი თარიღები 14
11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 15
12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 17
13. კონტაქტი 17

მაისის თვე, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის კუთხით ერთგვარი კულმინაცია იყო. განსაკუთრებით საგანგაშოა ქალთა მკვლელობების მზარდი მაჩვენებელი და საჯარო სივრცეში ამ გამაოგნებელი ფენომენის მიმართ არსებული სიჩუმე. ჩვენი განცხადებით ვეცადეთ მთელი სიმძაფრით დაგვეხატა სურათის სიმძიმე. აუცილებელია მთავრობამ გაიაზროს ქალთა მიმართ ძალადობის მასშტაბები და ყველა შესაბამისი უწყების სრული ჩართულობით, შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია ამ გამოწვევის დასაძლევად და ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციის მიზნით. მისასალმებელია, რომ ზემოხსენებულ განცხადებას მყისიერად გამოეხმაურა შინაგან საქმეთა სამინისტრო და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გააქტიურდება, შეიქმნება სპეციალური ჯგუფი შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით და შემუშავდება სპეციალური სტრატეგია ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის და ძალადობის პრევენციისთვის.

მაისის ბოლოს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2013 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო ანგარიში წარვუდგინეთ. ჩემთვის და მთლიანად სახალხო დამცველის ოფისისთვის დიდი სტიმულის მომცემია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა მიერ ოფისის საქმიანობისთვის მიცემული მაღალი შეფასებები და გამოცხადებული ნდობა.

30 მაისს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მორიგი საჯარო დებატები გავმართეთ ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე შემდეგი კითხვით: ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობაზე? ჩემი შეფასებით, დისკუსიამ ამ შეკითხვას ამომწურავი პასუხი ვერ გასცა, რადგან არ არსებობს ერთიანი სახელმწიფოებრივი ხედვა, კოორდინირებული პოლიტიკა ძალადობის ან მისი უარყოფითი ეფექტების აღმოფხვრა–შემსუბუქების მიმართულებით. არსებულს ემატება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული, ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპები, ძალადობის ფაქტების მიმართ გულგრილობა და სიჩუმის კულტურა. სახალხო დამცველის ოფისი შეეცდება ინტენსიური გახადოს საქმიანობა ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით, გამოავლინოს ფარული შემთხვევები და ფართო საზოგადოებრივი განხილვების თემად აქციოს ეს საკითხები. აქვე მსურს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ბავშვს მივულოცო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და ვუსურვო მათ ღირსეული, მათი ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი განვითარება და ბავშვური ბედნიერების სრულფასოვანი განცდა.

ჩვენი ოფისი კვლავ აგრძელებს უკვე კარგად ჩამოყალიბებულ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრების ტრადიციას. ამჯერად რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს ვესტუმრებით, რომ გავიგოთ, რა აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას და რას ფიქრობენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგნელები არსებული გამოწვევების დასაძლევად.

2. მთავარი თემა

2.1. სახალხო დამცველის რეკომენდაციების 50 პროცენტი არ შესრულდა

20 მაისს სახალხო დამცველმა საზოგადოებას სახალხო დამცველის მიერ 2008–2013 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ჩატარებული კვლევა წარუდგინა. კვლევის მიხედვით, 5 წლის განმავლობაში სახალხო დამცველმა სხვადასხვა უწყებებს სულ 614 რეკომენდაცია გაუგზავნა, თუმცა აქედან მხოლოდ ნახევარი, 309 შესრულდა, 21 რეკომენდაცია კი უწყებებმა ნაწილობრივ შეასრულეს.

2013 წელს გაგზავნილ რეკომენდაციათა შესრულების ყველაზე მაღალი ხარისხი – 100% წარმოაჩინა უზენაესმა სასამართლომ, საქართველოს პრეზიდენტმა, სერვისების განვითარების სააგენტომ, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, გლდანი–ნაძალადევის გამგეობამ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა.

სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ შეასრულა იუსტიციის სამინისტრომ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პარლამენტმა, ფინანსთა სამინისტრომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ბათუმის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რუსთავის მერიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ასევე არ გაითვალისწინა ქვეყნის ათამდე მუნიციპალიტეტმა.

მიმდინარე წელს ყველაზე მეტი – 16 რეკომენდაცია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების სამინისტროს გაეგზავნა, აქედან უწყებამ 13 სრულად და 2 ნაწილობრივ შეასრულა. მთავარმა პროკურატურამ 22 რეკომენდაციიდან 12 სრულად შეასრულა, 1 ნაწილობრივ, ხოლო 9 - შეუსრულებელი დარჩა.

მხოლოდ 22%–ით გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაციები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-

ტრომ, 25%–ით შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 29%–ით თბილისის მერიამ. 50%–ით კი თავდაცვის სამინისტრომ.

* ცალკე აღნიშვნის საგანს წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოკიდებულება. 5 წლის განმავლობაში გაგზავნილი 27 რეკომენდაციიდან უწყებამ მხოლოდ ერთი შეასრულა, 26 კი რეაგირების გარეშე დატოვა.

კვლევა ჩაატარა დამოუკიდებელმა ექსპერტმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

2.2. 23 მაისის განცხადება ქალთა მკვლელობებთან დაკავშირებით

ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი კვლავ საგანგაშოდ მაღალია, მიუხედავად ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული არაერთი კამპანიის, საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების შექმნის და ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაციისა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძალადობის ისეთი სასტიკი ფორმა, როგორიცაა მკვლელობა. სახალხო დამცველმა მწუხარება გამოთქვა საქართველოში ქალთა მკვლელობების გახშირებულ ფაქტებთან დაკავშირებით. „დღეს მნიშვნელოვანია ვიყოთ შეუწყნარებელნი ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის მიმართ, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი დანაშაული და ქალებმა შეძლონ იცხოვრონ მათთვის მშვიდ, არაძალადობრივ გარემოში. არსებითია ოჯახში ძალადობის მიმართ დამკვიდრებული სიჩუმის კულტურის დანგრევა და ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება შესაბამისი უწყებების, არასამთავრობო სექტორისა და მთლიანად საზოგადოების წარმომადგენლებში. მნიშვნელოვანია გაძლიერდეს საზოგადოებასთან მუშაობა, რათა აღმოიფხვრას არსებული სტერეოტიპული მიდგომები და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებული ბარიერები“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

ქალთა მიმართ ძალადობისა და განსაკუთრებით გახშირებული მკვლელობების თავიდან აცილების მიზნით სახალხო დამცველმა სახელისუფლებო ორგანოებს ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა. კერძოდ:

- შინაგან საქმეთა მინისტრმა უმოკლეს დროში უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის საგანგებო სტრატეგიის შემუშავება, რაც არა მხოლოდ მომხდარი ძალადობრივი ფაქტების ეფექტური გამოძიების ჩატარებაზე იქნება კონცენტრირებული, არამედ მაქსიმალურად მოახდენს მსგავსი დანაშაულების პრევენციას;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს სოციალური მუშაკების როლი და ჩართულობა ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუშაობისას, ამოქმედდეს სოციალური მუშაკის ინსტიტუტი ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის;
- საქართველოს მთავრობამ სიღრმისეულად გააცნობიეროს ქალთა მიმართ ძალადობის საგანგაშო ტენდენციის მასშტაბები და მიმართოს ყველა ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს საერთაშორისო კონვენციებით აღებული ვალდებულებების განუხრელი შესრულება და შეიმუშაოს შედეგზე ორიენტირებული, ყოვლისმომცველი სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

3.1. რეკომენდაცია შინაგან საქმეთა მინისტრს მიმოსვლის თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

მოქალაქე საიხან მუზაევის განცხადებით, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა მას სამჯერ არ მისცეს საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ სრულ წესრიგში ჰქონდა საქართველოდან გასვლისას საზღვრის გადაკვეთისათვის სავალდებულო დოკუმენტები.

6 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, უზრუნველყოს საიხან მუზაევისთვის საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გარანტირებული უფლება – საკუთარი სურვილისა და ნების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესის დაცვით, გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან; ასევე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში – პირისათვის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვისას, მოხდეს უფლებამოსილი პირების მიერ კანონისმიერი საფუძვლების განმარტება.

6 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე, **წინადადებით** მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორსაც, საიხან მუზაევის მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლისა თუ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით, რადგან მიუხედავად საიხან მუზაევის მიერ გაკეთებული არაერთი საჯარო განცხადებისა, გამოძიება დღემდე დაწყებული არ არის.

3.2. რეკომენდაცია ძიბახევის დაწყებითი სკოლისთვის სამართლებრივი და ფინანსური დახმარების შესახებ

14 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბახევში დაწყებითი სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების მიწოდების რეკომენდაციით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

ძიბახევში დაწყებითი კლასების მეცადინეობა ავარიულ, ფიცრულ შენობაში მიმდინარეობს. ნაპრალების გამო ოთახებს ღუმელი ვერ ათბობს და დაწყებითი კლასების 9 მოსწავლე ზამთარში სკოლაში არც დადის. უახლოესი საჯარო სკოლა 2 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ბირკიანში მდებარეობს, მაგრამ მოუგვარებელი სატრანსპორტო პრობლემების გამო, მშობლებს იქ შვილების გაშვება არ სურთ.

სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს, სოფლად და უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საგანმანათლებლო სექტორის ბიუჯეტის გაზრდას.

3.3. რეკომენდაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

15 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მოქალაქე გ.ს-ს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დარღვევის გამო რეკომენდაციით მიმართა.

2010 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურმა თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დაარეგისტრირა თბილისში, სოფელ გლდანში მდებარე 582 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას განხორციელდა მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის საზღვრებში შეჭრა, რითიც შეიზღუდა გ.ს-ს საკუთრების უფლება.

3.4. რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

16 მაისს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს საქართველოში ოსი მოსახლეობის მშობლიურ ენაზე განათლების მიღებასა და ოსურენოვანი აბიტურიენტებისათვის საგამოცდო ტესტების თარგმნის რეკომენდაციით მიმართა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შემჭიდროვებულ ვადებში უნდა შემუშავდეს ოსური ენის სტანდარტი, რათა ოსური ენა კვლავ ისწავლებოდეს კახეთის რეგიონის სოფლების – არეშფერანის, ფონასა და წიწკენაანთსერის სკოლებში როგორც საგანი; აღუდგეს დაფინანსება თბილისის 11-ე საჯარო სკოლის ბაზაზე არსებულ ოსურ საკვირაო სკოლას.

ასევე, სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს 2015–2016 სასწავლო წლის სახელმწიფო ეროვნული გამოცდებისათვის ოსურენოვანი ტესტის თარგმნის საკითხიც.

3.5. რეკომენდაცია ქუთაისის მერიას

16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე ლ.ვ.-სა და მისი მეუღლის თავშესაფრით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა ქუთაისის მერიას.

მოქალაქე ლ.ვ.–ს განცხადებით, იგი უსახლკაროა და ამჟამად მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად გამოუსადეგარ, ნათესავის კუთვნილ ბინაში ცხოვრობს. ლ.ვ.-ს მეუღლეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი აქვს მინიჭებული და ოჯახის შემოსავლის წყაროს მხოლოდ შშმ პირის 100 ლარიანი პენსია და სოციალური დახმარების 108 ლარი შეადგენს, რაც ცოლ–ქმარს საჭირო მედიკამენტების შესაძენადაც კი არ ყოფნით. შესაბამისად, ოჯახი ვერ ახერხებს საცხოვრებლად ვარგისი ბინის დაქირავებას.

3.6. რეკომენდაცია ოსური მატერიალური კულტურის დაცვის თაობაზე

23 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ადმინისტრაციასთან ერთად განიხილოს მუზეუმში არსებული ოსური სახლის რესტავრაციისა და მათში მუდმივმოქმედი გამოფენის მოწყობის დეტალური ხარჯები და უზრუნველყოს მისი რესტავრაცია.

ძმებ კოსტაევების კუთვნილი ოსური სახლი მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის ორიგინალი ნიმუშია და ჯავის რაიონის სოფელ სოხთადან 1975 წელს არის ჩამოტანილი.

90-იანი წლების შედეგად დაზიანებული ოსური სახლის აღდგენა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მიერ ეროვნული უმცირესობების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების საქმეში და ხელს შეუწყობს საქართველოში ოსური ეთნო-კულტურის პოპულარიზაციას, ოსური თემის კულტურული უფლებებისა და მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

4. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

წინადადებები საქართველოს მთავარ პროკურორს

4.1. მსჯავრდებულის მიმართ დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტის გამოძიების შესახებ

5 მაისს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების შესახებ მიმართა.

მსჯავრდებულ გ.ჯ.-ს განმარტებით, 2014 წლის 27 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში გადაყვანისას, საბადრაგო მანქანაში ჩაჯდომამდე ჩხრეკის მიზნით გააშიშვლეს, დაათვალიერეს, დეტალურად გაჩხრიკეს მისი ტანსაცმელი და მხოლოდ ქვედა საცვლისა და წინდების ჩაცმის უფლება მისცეს. მსჯავრდებულის გადმოცემით, ეტაპირებისას ბადრაგი მის მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას გამოხატავდა.

4.2. სამართალდამცავი პირების მხრიდან შესაძლო დანაშაულის გამოძიების შესახებ

8 მაისს სახალხო დამცველმა სამართალდამცავი პირების მხრიდან გ.წ.-სა და გ.ა.-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის გამოძიების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს.

ბრალდებულების განცხადებით, ისინი 2014 წლის 1 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს და მათზე ფიზიკური ძალადობა განახორციელეს. ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მათ გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს VIII განყოფილებაში, სამმართველოს უფროსმა და სამმართველოს სხვა თანამშრომლებმაც მიაყენეს. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, ბრალდებულებს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდათ.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სამართალდამცავი პირების მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას ეხება, საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას, სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას.

4.3. სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მსჯავრდებულისადმი შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

14 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, მსჯავრდებულ ა.მ.-ს მიმართ სასჯელაღსრულების №14 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან საუბარში, ამჟამად ქუთაისის №2 დაწესებულების მსჯავრდებულმა ა.მ.-მ განაცხადა, რომ 4 აპრილს №14 დაწესებულების დირექტორმა მას სხვა დაწესებულებაში ეტაპირების შესახებ შეატყობინა. გადაყვანის ცნობა პატიმარმა სიტყვიერად გააპროტესტა, რის გამოც სარეჟიმო განყოფილების უფროსმა მას ე.წ. რაცია ჩაარტყა მარცხენა მკლავის ზედა ნაწილზე. შემდეგ დაწესებულების თანამშრომლებმა ხელ–ფეხზე ბორკილები დაადეს და ასეთ მდგომარეობაში გადაიყვანეს №2 დაწესებულებაში.

მსჯავრდებულის ინფორმაციით, მის მიმართ დაშინება და ძალადობრივი ქმედების მცდელობა №14 დაწესებულებაშიც გაგრძელდა, რის გამოც იგი ფეხსაცმლის თასმის დახმარებით კისრით დაეკიდა რკინის მილს.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს ა.მ-ს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა.

4.4. ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

21 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება ქუთაისის №2

სასჯელაღსრულების დაწესებულების ბრალდებულის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას ქუთაისის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ბრალდებულმა ზ.მ.–მ განაცხადა, რომ 13 მაისს, ღამის 11 საათზე მის საკანში შევიდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე, რომელმაც მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ სხვა თანამშრომლებმა იგი დერეფანში გაიყვანეს და ცემეს. ნაცემი სამარტოო საკანში ჩაიყვანეს, სადაც დირექტორის მოადგილემ მისი ცემა და სიტყვიერ შეურაცხყოფა გააგრძელა.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრის დროს ზ.მ–ს დაზიანებები აღენიშნებოდა.

4.5. მოქალაქე ც.კ.-ს მიმართ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით

22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მოქალაქე ც.კ.-ს მიმართ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება მოითხოვა.

2013 წლის 13 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N16 დაწესებულების თანამშრომლებმა საექიმო-სამედიცინო პუნქტის ყოფილი ექთნის ც.კ.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლისას შემოწმება-დათვალიერება განახორციელეს, რისი უფლებამოსილებაც ჩხრეკის განმხორციელებელ თანამშრომლებს კანონმდებლობით არ აქვთ მინიჭებული.

4.6. წინადადება ფინანსთა სამინისტროს საღსრულებო ბიუროსთან დაკავშირებით

21 მაისს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, გაითვალისწინოს შპს „საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიის“ კრედიტორთა ინტერესები და გონივრულ ვადებში დააბრუნოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროდან ამოღებული საქმის მასალები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება და შპს „საქართველოს გზების სამშენებლო კომპანიას“ მოსარჩელეების სასარგებლოდ 4 940 ლარის ოდენობით სახელფასო დავალიანების ანაზღაურების გადახდა დააკისრა. დასახელებული გადაწყვეტილება დღემდე არ არის აღსრულებული.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად ცნობილი გახდა, რომ სააღსრულებო ღონისძიებების გატარება დაყოვნდა იმის გამო, რომ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში არ არის წარმოდგენილი სააღსრულებო საქმის დედანი, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 2011 წლის 29 სექტემბერს მის წარმოებაში არსებულ ერთ–ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ამოიღო.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოების საქმის მასალების დედნის ამოღება აუცილებელი საჭიროების ადეკვატურ წინაპირობას წარმოადგენს, თუმცა, მნიშვნელოვანია ამოღებული მტკიცებულებების განხილვა და დაბრუნება დროულად განხორციელდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუმართლებელი გაჭიანურება.

4.7. სახალხო დამცველის წარმომადგენლებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაბრკოლებები შეუქმნეს

8 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების წინადადებით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს. წინადადებაში დეტალურად იყო აღწერილი სახალხო დამცველის რწმუნებულთა საქმიანობისათვის ხელის შეშლის არაერთი ფაქტი. ერთ-ერთი შემთხვევის დროს, სასჯელაღსრულების N7 დაწესებულებაში, რწმუნებულებს დაწესებულების თანამშრომელმა აგრესიული, შეურაცხმყოფელი ტონით მოუწოდა საგამოძიებო ოთახში შესულიყვნენ. დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, რწმუნებულები საგამოძიებო ოთახში შევიდნენ და შეეცადნენ ვითარებაში გარკვევას. ზემოხსენებულმა თანამშრომელმა არ ისურვა მათთან საუბარი და კარი გარედან ჩაუკეტა. ამავე დაწესებულებაში, სახალხო დამცველის წარმომადგენელს საჩივრების ყუთზე არსებული ლუქის თარიღისა და მთლიანობის შემოწმების საშუალება არ მისცეს. იყო შემთხვევები, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ აძლევდნენ უფლებას დაუყოვნებლივ ენახათ პატიმარი საკანში. ასევე, დაჟინებით სთხოვდნენ მაჯის საათების დატოვებას, რომელიც სამუშაო პროცესში სჭირდებოდათ.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული ფაქტები წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სახალხო

დამცველის რწმუნებულთა საქმიანობისათვის დაბრკოლების შექმნას, რაც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას. შესაბამისად, აუცილებელია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება და პასუხისმგებელი პირების მიმართ შესაბამისი ზომები გაატაროს.

წინადადებაში მოყვანილ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა **15 მაისს** გამართულ პრესკონფერენციაზე საგანგებო განცხადება გააკეთა.

4.8. წინადადება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

13 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ლ.ბ.–ს წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა.

2011 წლის 18 თებერვალს ხაშურის რაიონულმა სასამართლომ შპს „აგარა ჯგუფის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ე.მ. დაუსწრებლად დამნაშავედ ცნო – განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდების ბრალდებით. თუმცა შპს „აგარა ჯგუფის“ წესდების თანახმად, ე.მ.–ს უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელობა, საფინანსო და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებაზე ზედამხედველობა, საგადასახადო აღრიცხვის წარმოება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არ გამოიკვლია, რომ ე.მ., როგორც შპს „აგარას“ გენერალური დირექტორი, არ იყო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი; გარდა ამისა, არ შეამოწმა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა კანონიერება, შესაბამისად, მოსამართლის მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა.

5. სახალხო დამცველის საკანონმდებლო საქმიანობა

5.1. ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტური იმპლემენტაციისათვის აუცილებელი საკითხების შესახებ

6 მაისი. საქართველოს სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს საქართველოს პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღებას, რაც საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისა და ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.

მიუხედავად დადებითი შეფასებისა, საქართველოს სახალხო დამცველს მიღებულ კანონპროექტთან დაკავშირებით გააჩნია სამი არსებითი ხასიათის შენიშვნა, რაც კანონის ეფექტურად იმპლემენტაციისათვის გადამწყვეტია და ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობის და პარლამენტის მიერ არ იქნა გათვალისწინებული. ამ შენიშვნების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება და ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოს სახალხო დამცველის მიერ ამ მიმართულებით ეფექტური საქმიანობა. კერძოდ,

1. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი გულისხმობს საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის გაფართოებას და კერძო სფეროში, დისკრიმინაციის ფაქტების თაობაზე შესწავლის ჩატარებასა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სათანადო რეკომენდაციის მომზადებას. თუმცა, კანონი კერძო პირებს არ ავალდებულებს მიაწოდონ საქართველოს სახალხო დამცველს საქმის შესწავლისათვის აუცილებელი მასალები, დოკუმენტები თუ ინფორმაცია. ამ ფორმულირებით, საქართველოს სახალხო დამცველს კერძო სფეროში მომხდარი დისკრიმინაციის სავარაუდო ფაქტის შესწავლისათვის მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლის განცხადება და მის მიერ მიცემული ახსნა–განმარტება რჩება, რაც საქმის ყოველმხრივ შესწავლის შესაძლებლობას არ იძლევა. ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის უფლებამოსილება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისი რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლია, რაც კერძო სექტორს კვლავ საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის სრულად განხორციელების მიღმა ტოვებს.

2. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ გამოცემული რეკომენდაციაზე პასუხის გაუცემლობის ან მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს როგორც დაინტერესებულმა პირმა, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების მოთხოვნით. თუმცა, სახალხო დამცველის აზრით, ეფექტური მექანიზმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) დაკისრება იქნებოდა.

3. წარმოდგენილი კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფას, რაც გარდაუვალია ამ მნიშვნელოვანი დამატებითი ფუნქციის განხორციელებისათვის. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდს და ძალა-

ში შედის გამოქვეყნებისთანავე. სახალხო დამცველს ამ ეტაპზე არა გააჩნია საკმარისი ადამიანურ-ფინანსური რესურსები დაიწყოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება. აუცილებელია მინიმუმ სამთვიანი მოსამზადებელი პერიოდი და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების დაუყოვნებლივ გამოყოფა, რათა მოხერხდეს სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შექმნა და დისკრიმინაციის საკითხებზე მუშაობის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა.

5.2. საკონსტიტუციო სარჩელი ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ

30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და „ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის იმ დებულებების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ყველა სახის შემაერთებლებთან მუდმივი მიერთების, აგრეთვე სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსება-მონტაჟის და კავშირგაბმულობის არხში არსებულ მონაცემთა ბანკების კოპირების შესაძლებლობას აძლევს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ე.წ. „მუდმივი მიერთება", სათანადო აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის მონტაჟი და საინფორმაციო ბანკების კოპირების შეუზღუდავი უფლება გულისხმობს იმის შესაძლებლობას, რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გააჩნიათ კონსტიტუციურ–სამართლებრივი რეგულირებისა და დაცვის სივრციდან გასული და შეუზღუდავი უფლება, მუდმივად მიუწვდებოდეთ ხელი კომუნიკაციის და პირადი მონაცემების დაცულ სფეროზე, ანუ, პირადი მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე და ახორციელებენ მის მუდმივ მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის ძალისხმევას, ახლებურად დაარეგულიროს ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული დებულებები. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველოს პარლამენტი მიიღებს ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებულ ცვლილებათა პაკეტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

6. გასული თვის მოვლენები

6.1. სახალხო დამცველი დავით კოდუას ცემის ფაქტზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს

5 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა სრულყოფილად და ეფექტურად ჩაატაროს გამოძიება დავით კოდუას ცემის ფაქტზე. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მიუხედავად ნოშრევან ნამორაძის აღიარებითი ჩვენებისა, გამოძიების სრულყოფილად, ყოველმხრივ და ეფექტურად ჩატარებისათვის აუცილებელია უმოკლეს ვადებში საგამოძიებო ორგანოებმა მოიძიონ და შეკრიბონ ყველა შესაძლო მტკიცებულება. ამასთან, არსებითი მნიშვნელობისაა დანაშაულის სათანადო კვალიფიკაცია..

საქართველოს სახალხო დამცველი დაუშვებლად მიიჩნევს კერძო პირების მიერ თვითნებურად, შურისძიების მოტივით, ნებისმიერი პირის დასჯასა თუ დასჯის მცდელობას. მსგავსი შემთხვევების პრევენცია კი მხოლოდ საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებული სწრაფი, ეფექტური გამოძიებითა და ყველა დამნაშავე პირის სათანადოდ დასჯით არის შესაძლებელი.

6.2. საკონსულტაციო შეხვედრა სახალხო დამცველთან გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების თემაზე

7 მაისს სახალხო დამცველმა არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის თავის „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები" წარუდგინა.

შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი იყო სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის სტრატეგია და 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა.

6.3. ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერება

14 მაისს სახალხო დამცველმა პრესკონფერენცია გამართა ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერებასთან დაკავშირებით. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშში დაგეგმილი ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერების საკითხს სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე თვეა სწავლობს. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებობს რიგი საკითხებისა, რომელთა მოწესრიგებისა და გად-

აწყვეტის გარეშე დაირღვევა მესტიის რაიონის ხაიშის თემში მაცხოვრებელთა უფლებები. კერძოდ, აუცილებელია:

1. ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი პროცედურა შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო ნორმებთან;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით შეფასდეს ინვესტიციის მიმზიდველობა და გაკეთდეს ეკონომიკური ანალიზი;
3. მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე.
4. ჰესის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების გაცემისას უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღების წესის დაცვა;
5. მოსახლეობასთან შეთანხმებით შემუშავდეს ადგილობრივ მაცხოვრებელთა განსახლების სამოქმედო გეგმა, განსახლების პოლიტიკა და მონიტორინგის გეგმა;
6. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიღებული იქნეს ზომები მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით;
7. შეფასდეს ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

6.4. განცხადება რომან შიტიკოვთან დაკავშირებით

19 მაისი. სახალხო დამცველის წარმომადგენლებისთვის ცნობილი გახდა საქართველოს მოქალაქე რომან შიტიკოვის შესახებ, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაფილაში დააკავეს რუსმა მესაზღვრეებმა და 2008 წლის ომში მონაწილეობის გამო დახვრეტით ემუქრებოდნენ. შიტიკოვი უარყოფდა ომში მონაწილეობას და ცხინვალის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი სხვა საქართველოს მოქალაქეების დახმარებით ითხოვდა თავისი მდგომარეობის გასაჯაროებას.

რომან შიტიკოვის ადგილსამყოფელი დღეისათვის უცნობია. შესაძლოა, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდეს.

სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს და რუსეთის ხელისუფლებას, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას და ადამიანის უფლებათა დაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებს მყისიერად მოახდინონ რეაგირება შიტიკოვის საკითხზე და უზრუნველყონ მისი დროული გათავისუფლება.

6.5. შეხვედრა პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრებთან

19 მაისს სასტუმრო „ამბასადორში“ სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრები პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გედევან ფოფხაძეს და პარლამენტის წევრებს თამაზ ავდალიანსა და ალი მამედოვს შეხვდნენ.

ეროვნული უმცირესობების საბჭოს შეხვედრა პარლამენტარებთან

საბჭოს წევრებმა, სახალხო დამცველმა და პარლამეტის წარმომადგენლებმა ერთად იმსჯელეს ისეთი საკითხების გადაწყვეტის შესაძლო გზებზე, როგორიცაა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა კომპენსაცია, ქონების რესტიტუცია, ორმაგი მოქალაქეობა, სკოლებში უმცირესობათა ენის სწავლება, აზერბაიჯანული და სომხური თეატრების რემონტი და ეთნიკური უმცირესობათა საბჭოს თავშეყრისა და მუშაობისათვის შესაბამისი ფართის გამოყოფა.

6.6. შეხვედრა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისართან

21 მაისს სახალხო დამცველი გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარ ნავი პილაის შეხვდა და საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობაზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. ისაუბრეს პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებაზე; კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე; უმცირესობების, გენდერული თანასწორობის, ოჯახური ძალადობისა და ქალთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე; ასევე, რეგიონებში სახალხო დამცველის საქმიანობის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობაზე.

ქალბატონმა პილაიმ აღნიშნა, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტთან ურთიერთობების გაღრმავება, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებთან მუდმივი კომუნიკაცია, კონვენციების იმპლემენტაციის შესახებ ალტერნატიული ანგარიშების მომზადება ხელს შეუწყობს სახალხო დამცველის ოფისის სანდოობის გაზრდას და ქვეყნას ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვაში დაეხმარება.

უმაღლესმა კომისარმა დადებითად შეაფასა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის შემუშავების ფაქტი და გამოთქვა იმედი, რომ სახალხო დამცველის აპარატი სტრატეგიის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაზე ეფექტურ მონიტორინგს განახორციელებს.

6.7. ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია

შეხვედრა სასტუმრო „პოლიდეი ინში"

27 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) პარტნიორობით ჩატარდა საადვოკაციო შეხვედრა თემაზე: „ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია – გენდერული თანასწორობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის". შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემებით დაინტერესებულ უწყებათა შორის დიალოგის ხელშეწყობა პრობლემის არსის, მიზეზებისა და შედეგების წარმოჩენა და რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეხვედრის მონაწილეებს 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშში ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე შეტანილი რეკომენდაციები წარუდგინა; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერების, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების, საზოგადოების და სხვა დაინტერესებული პირების ცნობიერების ამაღლების საჭიროებაზე.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებებს შორის საქმიანობის კოორდინირება საკმაოდ სუსტია. საქართველოს სახალხო დამცველი, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად კვლავაც გააგრძელებს აღნიშნული საკითხის აქტუალიზაციას, შესაბამისი საგანმანთლებლო აქტივობების განხორციელებას, რათა შეძლებისდაგვარად შემცირდეს ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები და ხელი შეეწყოს გოგონათა სრულფასოვან კარიერულ–პროფესიულ განვითარებას ქვეყანაში.

6.8. ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ – 2013 წელი

28 მაისს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საპარლამენტო ანგარიში წარუდგინა.

ევროკავშირის დელეგაციის პირველმა მდივანმა სტეფან სტორკმა საქართველო–ევროკავშირის მჭიდრო ურთიერთობებზე და სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნა რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, რასაც საქართველოში წარმატებით უძღვება სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

წლიური ანგარიშის პრეზენტაცია

სახალხო დამცველმა 2013 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოკვეთილ ტენდენციებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა. მოკლედ მიმოიხილა ვრცელი საპარლამენტო ანგარიშის თემატიკა, ასევე ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებზე, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, საერთაშორისო

კონვენციათა რატიფიკაციის დადებით ტენდენციაზე. აღნიშნა, რომ 2013 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გაუმჯობესების მიუხედავად, კვლავ ბევრი სერიოზული პრობლემაც დარჩა, რომელთა გადაჭრის აუცილებლობას სახალხო დამცველი და მისი აპარატი რეკომენდაციებისა და წინადადებების მეშვეობით მუდმივად ახსენებს ხელისუფლებას.

6.9. განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სისტემური ცვლილებების აუცილებლობის შესახებ

29 მაისს სახალხო დამცველი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გადადგომას. უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარის ცვლილება რადიკალურად ვერ შეცვლის მდგომარეობას, ვინაიდან სისტემაში ბოლო პერიოდში მრავალი პრობლემა დაგროვდა და მრავალი კითხვა კვლავაც პასუხგაუცემელია. კერძოდ, დღემდე უცნობია, რატომ გადაიყვანეს სასჯელაღსრულების N6 დაწესებულებაში განთავსებული სამი მსჯავრდებული სასჯელაღსრულების N14 დაწესებულებაში და განათავსეს ისინი აწ გარდაცვლილ გიგა ფარტენაძის საკანში. ასევე გაურკვეველია, მოხდა თუ არა რისკების შეფასება, ამ პირთა გადაყვანის შესახებ გადაწვეტილების მიღებისას. ამ კითხვაზე პასუხი სახალხო დამცველმა ვერც საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიიღო.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის რისკის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო ვითარებაა. აღნიშნულს თან ერთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მხრიდან პატიმართა მიმართა არასათანადო მოპყრობის შესახებ არაერთი შეტყობინება, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს. სამწუხაროდ, დღემდე ამ თანამშრომელთა მიმართ შესაბამისი ზომები არ გატარებულა, ან აღნიშნულის თაობაზე ცნობილი არ არის.

დაუსჯელობის სინდრომმა გარკვეულწილად განაპირობა სასჯელაღსრულების სისტემის ცალკეული პირების მხრიდან სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მონიტორინგის განხორციელებაში ხელის შეშლა, რაც დაუშვებელია და არღვევს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. საგანგაშოა ის ფაქტიც, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ის უნდა იყოს დაინტერესებული ჰქონდეს დაწესებულებაში არსებული სათვალთვალო კამერების ჩანაწერები არასათანადო მოპყრობის შესახებ ბრალდების გასაბათილებლად, ჩანაწერების შენახვის ვადის შესახებ ინფორმაციასაც არ იძლევა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახლადდანიშნულ თავმჯდომარეს მოუწევს ამ და სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რაც შეუძლებელი იქნება სისტემური ცვლილებების გარეშე. დროა, სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრდეს ე.წ. დინამიური უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უსაფრთხოება და წესრიგი მიიღწევა მხოლოდ პატიმართა ღირსების პატივისცემის და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის პირობებში კანონის მოთხოვნათა ზედმიწევნით შესრულებით, რა დროსაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მთავარ ღირებულებას ადამიანის ღირსების პატივისცემა და კანონის უზენაესობა უნდა წარმოადგენდეს.

6.10. დებატები ბავშვის მიმართ ძალადობის თემაზე

30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, დებატები გამართა თემაზე „ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოში – ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?“

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ ხელმძღვანელის ჯაბა ნაჭყებიას მოდერატორობით გამართულ შეხვედრაზე ბავშვის მიმართ სკოლასა და ოჯახში ძალადობის პრობლემა განიხილეს.

დებატებში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებმა, პრობლემით დაინტერესებულმა საზოგადოებამ.

დებატები ბავშვის მიმართ ძალადობის თემაზე

სახალხო დამცველმა ისაუბრა ბავშვთა მიმართ ძალადობის თემის განსაკუთრებულ აქტუალობაზე და სახელმწიფოს მხრიდან სახალხო დამცველის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების აუცილებლობაზე.

სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები სასარგებლოა პრობლემის გადაჭრის ერთიანი გზების დასახვისათვის და ამ მიმართულებით ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელმა მაია გედევანიშვილმა მიმოიხილა სახალხო დამცველის აპარატში შემოსული საჩივრები, რომელთა უმეტესობა ეხება ბავშვის მიმართ ფიზიკურ ძალადობას სკოლაში –მასწავლებლისა და ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის ფაქტებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა დარეჯან დვალიშვილმა აუდიტორიას 2013 წლის კვლევის მონაცემები გააცნო, რომელთა მიხედვითაც, ბავშვის ფიზიკური დასჯა ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ბავშვის აღზრდის ეფექტურ საშუალებად მიაჩნია.

ისაუბრეს განქორწინებული მშობლების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ხელის შეშლის პრობლემაზე; ბავშვის უფლებების სფეროში მოსამართლეთა შემდგომი გადამზადების, საკანონმდებლო ბაზისა და აღსრულების პროცესის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობაზე.

დისკუსიამ ცხადყო თემის სიმწვავე. ბავშვის მიმართ ძალადობა არაერთ პრობლემურ სფეროს მოიცავს, რაც ძირეულ შესწავლას, მუდმივ დაკვირვებას და საზოგადოების მობილიზებას საჭიროებს.

7. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურის პერიოდული საქმიანობა

7.1. შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის შეხვედრები რეგიონებში

5-6 მაისს გაეროს ერთობლივი პროგრამით „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის წარმომადგენლები **კახეთის რეგიონში** იმყოფებოდნენ.

გასვლითი ვიზიტების მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა, შშმ ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა და ხარვეზების გამოვლენა, აღნიშნულ პირთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრაქტიკის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობა.

ლაგოდეხსა და **წნორში** გამართულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი კანონიერი წარმომადგენლები, სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლები.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ **ბოდბისხევის** მოხუცთა პანსიონი - „თაობათა კერა“ და **სიღნაღის** სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი „ქედელი“ მოინახულეს. „ქედელის“ საქმიანობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციაა. კავშირის ბაზაზე არსებული სათემო სერვისის ბენეფიციარები მენტალური შეზღუდვის მქონე პირები არიან.

21–22 და 23 მაისს გაიმართა შეხვედრები **დუშეთსა და ყაზბეგის** მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან. ასევე, სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებების წარმომადგენლებთან. მოინახულეს ფსიქიკური პრობლემების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების საცხოვრებელი ადგილი **სოფელ სნოში,** შეხვდნენ ამ პირთა კანონიერ წარმომადგენელს (მეურვეს) და მათი ოჯახის წევრებს.

შეხვედრა დუშეთის რეგიონში

რეგიონებში ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში გაიმართა აქტიური დისკუსიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გამოიკვეთა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადექვატური სამედიცინო მომსახურების მიწოდების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის პრობლემებზე, ინკლუზიური განათლების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების კუთხით არსებულ ხარვეზებზე.

რეგიონებში სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის დაწესებულებების არარსებობის გამო, ფერხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

7.2. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „ელსა“-ს პროექტი – სამართლის სკოლა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე“

12-19 მაისს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „ელსას“ მიწვევით პროექტში -სამართლის სკოლა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები“, საქართველოს სახალხო დამცველის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ლექციები თემებზე: „საერთაშორისო კანონმდებლობა“; „სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამები, ეროვნული კანონმდებლობა“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის საქმიანობა“.

7.3. შეხვედრა სტუდენტებთან აბორტის თემაზე

15 მაისს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის კონსულტანტმა ანა ლობჟანიძემ მოხსენება წაიკითხა სტუდენტებისათვის გამართულ სემინარზე ქუთაისში. სემინარი თემაზე „აბორტი - ნების თავისუფლება, თუ სიცოცხლის უფლება“ ევროპის იურისტთა ასოციაციამ (ELSA Kutaisi) ევროპის მედიკოსთა ასოციაციასთან (EMSA Kutaisi) პარტნიორობით ჩაატარა.

პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტებისათვის აბორტის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი და პრობლემატური გარემოებების გაცნობას. სემინარს ესწრებოდნენ ბიზნესის, სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები. მოხსენების ფარგლებში ანა ლობჟანიძემ ისაუბრა აბორტის სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებზე, სახელმწიფოს როლსა და პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზებზე.

7.4. პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მონაწილეობა სამუშაო შეხვედრაში

17-18 მაისს პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ დაბა გუდაურში ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების და სპეციალური საშუალების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების პროექტი. აქვე წარმოდგენილი იყო „ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბრძანების პროექტი.

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა შეფასებით, ბრძანებათა პროექტების ამჟამინდელი რედაქცია დახვეწას საჭიროებს.

8. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

8.1. შეხვედრა კახეთის გუბერნატორთან

2 მაისს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი კახეთის გუბერნატორს ირაკლი შიოლაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე მიმდინარე საკითხები და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით რეგიონში არსებულ მდგომარეობა განიხილეს. ისაუბრეს სახალხო დამცველის ახლად გახსნილი კახეთის რეგიონული ოფისის სამომავლო საქმიანობაზე და პრიორიტეტებზე. შეხვედრაზე ასევე განიხილეს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ 2013 წლის ანგარიშში ასახული უფლებადარღვევის კონკრეტული ფაქტები.

კახეთის გუბერნატორმა სახალხო დამცველის აპარატთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

8.2. სახალხო დამცველმა პანკისში შეხვედრები გამართა

2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი პანკისის ხეობაში ჩავიდა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. მოინახულა 2012 წელს აგვისტოში ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინფორმაცია მიაწოდა ლაფანყურის საკითხების შემსწავლელი საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობის შესახებ. ლაფანყურის სპეცოპერაციის დეტალებზე ისაუბრეს ასევე მუსლიმთა სამლოცველოში ადგილობრივ უხუცესებთან გამართულ შეხვედრაზე.

პანკისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების „კახეთის რეგიონული განვითარების ფონდისა“ და „ახალგაზრდა ქისტი ქალები ინტეგრაციისთვის“ წარმომადგენლებთან რეგიონში მიმდინარე პრობლემები განიხილეს. განსაკუთრებით მწვავედ ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებისათვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობისა და მოქალაქეობის მიღების საკითხი დგას. მოქალაქეობის და ლტოლვილის სტატუსის

უქონლობის გამო კი შეზღუდულია არასრულწლოვანთათვის განათლების ხელმისაწვდომობა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის კვლავ გამოწვევად რჩება სკოლებში რუსული სექტორის დახურვა, რაც განათლების მიღებისათვის სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის.

არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში ჩასახლებულ ეკომიგრანტთა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებზე და საცხოვრებელი სახლების საკუთრებაში გადაცემის პროცესის გაჭიანურებაზეც ისაუბრეს.

9. სხვა სიახლეები

9.1. საქართველოს სახალხო დამცველისა და ბულგარეთის რესპუბლიკის თანამშრომლობის ხელშეკრულება

16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა და ბულგარეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის წარმომადგენლობის გაძლიერების გზით, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კანონის უზენაესობის“ საგრანტო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობა საგრანტო პროგრამით მხარს დაუჭერს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის წარმომადგენლობის გაძლიერებას და ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

9.2. საერთაშორისო ტრენინგი „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“

22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) საერთაშორისო სატრენინგო პროგრამის „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ფარგლებში საქართველოში მყოფ სამხრეთ სუდანის, კოლუმბიის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლიბერიის წარმომადგენლებს შეხვდა და სახალხო დამცველის საქმიანობა გააცნო. შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის მიმართულებას, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა უფლებამოსილებების განხორციელების მნიშვნელოვან ასპექტებს.

„ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ 5 კვირიანი პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს ქალების მონაწილეობის გაზრდას მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მუშაობისას და ქალების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინების აღნიშვნას კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში.

9.3. ადამიანის უფლებათა საბჭოს 26-ე სესია

29 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 26-ე სესიაზე განსახილველად წარადგინა წერილობითი მოსაზრება საქართველოში დევნილთა მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტში საქართველოს სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობებზე, მათ ხელახალ რეგისტრაციაზე, პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობასა და აღნიშნულ პროცესში დევნილთა ჩართულობაზე, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე.

ადამიანის უფლებათა საბჭოს 26-ე სესია 10-27 ივნისს გაიმართება.

9.4. კონკურსი – „განათლება წარმატებული მომავლისათვის“

30 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამარ შვანგირაძემ პრობაციის ეროვნული სააგენტოს საგრანტო კონკურსის კომისიაში მიიღო მონაწილეობა.

კონკურსის „განათლება წარმატებული მომავლისათვის“ მიზანია განათლებაზე ორიენტირებულ პირობით მსჯავრდებულთა გამოვლენა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. კომისიის მიერ გამოვლენილ 3 საუკეთესო კონკურსანტს პრობაციის ეროვნული სააგენტო მთელი წლის სწავლის საფასურს – 2250 ლარს აუნაზღაურებს. ერთ–ერთ კონკურსანტს ტელეკომპანია „იმედმა“ სტაჟირების გავლა შესთავაზა.

10. ღირსშესანიშნავი თარიღები

10.1. სახალხო დამცველის განცხადება შრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

1 მაისი მშრომელთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ გამოთქვამს სურვილს ქვეყანაში მაქსიმალურად იქნეს დაცული მოქალაქეთა შრომითი უფლებები; უზრუნველყოფილი იქნეს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო, სამართლიანი ანაზღაურება, ბავშვებისა და ქალთა შრომითი უფლებები, პროფესიული გადამზადების უფლება და სხვა.

სახალხო დამცველი მიესალმება 2013 წელს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, თუმცა მოქმედ კანონმდებლობაში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც უმოკლეს დროში საჭიროებს დახვეწას და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ შრომის კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, აუცილებლად გაგრძელდება მუშაობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების მონიტორინგი სამუშაო ადგილებზე; ზეგანაკვეთური სამუშაო; ქალთა შრომა; გაფიცვის უფლება და სხვა. ამისთვის აუცილებელია იმ საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება, რომლებიც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას შრომის სფეროში.

10.2. განცხადება ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

17 მაისს სახალხო დამცველმა ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა სწორედ ამ დღეს, 1990 წლის 17 მაისს ამოიღო დაავადებათა ნუსხიდან. ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზანს ძალადობის დაგმობა და ლგბტ ადამიანების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა წარმოადგენს.

სახალხო დამცველმა განცხადებით მოუწოდა დაინტერესებულ მხარეებს, გაძლიერდეს საზოგადოებასთან მუშაობა არსებული ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთისა და პრევენციისათვის; აგრეთვე განხორციელდეს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისა და სიძულვილით მოტივირებული სხვა შემთხვევების დროული, და ეფექტური გამოძიება.

10.3. განცხადება კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღესთან დაკავშირებით

21 მაისს კავკასიაში რუსულ-კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე და ომის დასრულების 150 წლისთავი აღინიშნება. 1864 წლის 21 მაისს კრასნაია პოლიანაზე შავიზღვისპირელი ხალხის - ადიღეელების, უბიხების და აფხაზების დამარცხებით, ომი საბოლოოდ დასრულდა. ომის ტრაგიკული შედეგი კი იყო მთიელ ხალხთა დიდი ნაწილის ფიზიკური განადგურება და მუჰაჯირობა, იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიასა და ახლო აღმოსავლეთში.

1864-1877 წლებში, მუჰაჯირობის შედეგად 80 000-მდე აფხაზი გადაასახლეს, დღეს მათი შთამომავლები 50 ქვეყანაში ცხოვრობენ. დაახლოებით 150 000 ქართველ მუსლიმს მოუწია სამშობლოს დატოვება აჭარასა და სამცხე-ჯავახეთიდან. ისინი დღეს თურქეთში ქართული სათვისტომოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ.

ომების შედეგად ფაქტიურად გაქრა ჩერქეზთა, ადიღელთა და უბიხთა კვალი მათი საცხოვრებელი ადგილებიდან, დაიკარგა მათი მატერიალური კულტურა და ენა.

სახალხო დამცველმა მოუწოდა კავკასიის რეგიონის ქვეყნების ხელისუფლებებს და საერთაშორისო თანამეგობრობას, გამოხატონ პოლიტიკური ნება დარღვეული უფლებების აღსადგენად და გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა მომავალში აღიკვეთოს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები.

10.4. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი

26 მაისი ქვეყნის თავისუფლების სიმბოლოა. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობის გზა აირჩია. სახალხო დამცველი გულითადად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მაღალგანვითარებული, ძალადობისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი სუვერენული სახელმწიფო შესძლებს თავისი საზღვრების მტკიცედ დაცვას და ამ საზღვრებს შიგნით ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დანერგვას, სტიგმასაგან თავისუფალი, ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას.

11. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

11.1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საუკეთესო პრაქტიკა გენდერული მეინსტრიმინგისათვის

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF) პუბლიკაციაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნისა და განვითარებისათვის ადამიანის უფლებადაცვით ინსტიტუტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად არის განხილული.

პუბლიკაციის თანახმად, სახალხო დამცველის აპარატი არის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უფლებადაცვითმა ინსტიტუტებმა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება თავიანთ საქმიანობაში.

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) წარმოადგენს

საერთაშორისო ფონდს, რომლის მისიაა დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოებას უსაფრთხოების სექტორის ეფექტიანი მართვისა და რეფორმის განხორციელებაში. ცენტრი ნერგავს ნორმებსა და სტანდარტებს, ახორციელებს პოლიტიკის კვლევებს, სწავლობს საუკეთესო პრაქტიკას და გამოსცემს რეკომენდაციებს უსაფრთხოების სფეროს დემოკრატიული მართვის ხელშეწყობისათვის.

პუბლიკაციაში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- სახალხო დამცველის აპარატი, როგორც მდგრადი ინსტიტუტი გენდერული საკითხების ინტეგრირებისათვის უსაფრთხოების სექტორში;
- სახალხო დამცველის აპარატის უნარი, აქტიურად გამოიძიოს გენდერთან დაკავშირებული პრობლემები უსაფრთხოების სექტორში.

11.2. „საქართველომ უნდა გააუმჯობესოს მართლმსაჯულების ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ტოლერანტობის კულტურას“

12 მაისს გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის ნილს მუიჟნიეკსის ანგარიში 2014 წლის 20-25 იანვარს მისი საქართველოში ვიზიტის შემდგომ. ანგარიშში კომისარმა ყურადღება გაამახვილა ორ ძირითად მიმართულებაზე:1. მართლმსაჯულების აღსრულება და ადამიანის უფლებების დაცვა მართლმსაჯულების სისტემაში; 2. უმცირესობათა უფლებების დაცვა, შემწყნარებლობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

კომისარმა დადებითად შეაფასა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენცია. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც გაუქმდა სასჯელთა შეკრების სავალდებულოობა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მოსამართლეები ავტომატურად აღარ აკმაყოფილებენ პროკურატურის შუამდგომლობას წინასწარი დაკავების ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუმცა ხაზი გაუსვა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევისგან დაცვის საკითხში გამუდმებული სიფრთხილის საჭიროებას. მითუმეტეს, რომ შეხვედრებზე აღინიშნა დაცვის მხარეზე თანამდებობის პირების, მათ შორის, პროკურორების მხრიდან მუქარისა და ზეწოლის ფაქტების შესახებ. ანგარიშში უარყოფითად არის შეფასებული მოწმეთა დაკითხვის წესის გადავადება და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მოწმის მოწვევის უფლების შესახებ დებულების გაუქმება.

კომისარი შეეხო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების მიერ განცხადებულ პოლიტიკურად მოტივირებულ დაკავებებს; განიხილა ივანე მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის საკითხი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოხატული შეშფოთება შიდა გამოძიების წარუმატებლობაზე. ოპოზიციის შევიწროებასთან დაკავშირებით, კომისარმა საქართველოს ხელისუფლებას მკაფიო განცხადებების გაკეთება ურჩია.

ანგარიშში განხილულია მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კომისარმა აღნიშნა სახალხო დამცველის მიერ გამოხატული მოსაზრება, რომ ძალადობისა და უსამართლობის მსხვერპლთათვის კომპენსაცია არ უნდა იქნეს დაყოვნებული ან უარყოფილი. მან მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, განიხილოს და პრიორიტეტი მიანიჭოს 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ წარდგენილ იმ საქმეებს, რომლებშიც აღინიშნება ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები და რომელთა დაკავშირებითაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. პრიორიტეტულია ასევე, წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველ მოპყრობის შესახებ განცხადებების ყურადღება.

შეურაცხყოფისა და დაჩაგვრის შიშით, ლგბტ პირები მალავენ სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას, მათ შორის, სამუშაო ადგილებსა და საჯარო დაწესებულებებში. აღნიშნულ კონტექსტში განხილულია 2013 წლის 17 მაისის მოვლენები. კომისარმა ხაზი გაუსვა, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საზოგადოების მიერ მკაფიო გზავნილების აუცილებლობას, ადამიანის უფლებების მხარდასაჭერად და ძალადობის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის დასაგმობად. მისასალმებელია ანტი–დისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავების გეგმა.

კომისარმა აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის რეგიონული ოფისები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უმცირესობათა ჯგუფების ინფორმირებისა და კონსულტირების თვალსაზრისით, იმ ენაზე, რაც მათთვის გასაგებია. აღნიშნულია, რომ ენობრივი ბარიერი იწვევს მათ იზოლირებას და აფერხებს საჯარო სერვისებზე, დასაქმებაზე, განათლებაზე, დაცვის საშუალებებსა და უფლებებზე წვდომას. კომისარმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას წაახალისონ უმცირესობათა მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

კომისარმა ყურადღება გაამახვილა რელიგიური უმცირესობების მიმართ გამოვლენილ შეუწყნარებლობის ფაქტებზე და მოუწოდა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებს, ცალსახად დაიცვან რელიგიის თავისუფლება, გამოიძიონ მისი უკანონო შეზღუდვის ფაქტები, მისცენ შესაბამისი კვალიფიკაცია და განსაზღვრონ სასჯელი ისე, როგორც ამას კანონმდებლობა ავალდებულებს. მეტი უნდა გაკეთდეს სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების შესახებ საზო-

გადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად და რელიგიის თავისუფლების პატივისცემის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად.

12. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

12.1. თელავში სახალხო დამცველის რეგიონული ოფისი გაიხსნა

1 მაისს სახალხო დამცველმა რეგიონული საქმიანობის გაძლიერების მიზნით, რიგით მეშვიდე ოფისი გახსნა. სახალხო დამცველმა თავისი წარმომადგენელი თეიმურაზ ორკოდაშვილი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს წარუდგინა.

12.2. 15 მაისს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი 1 წლის გახდა

სახალხო დამცველის აპარატი პირველი სახელმწიფო ინსტიტუტია, რომელმაც გენდერული თანასწორობის საკითხებზე სტრუქტურული ერთეულის შექმნა უზრუნველყო. დეპარტამენტმა 2013 წლიდან დღემდე 165 განცხადება მიიღო და განიხილა.

12.3. **5 მაისიდან** მართლმსაჯულების დეპარტამენტში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო კონკურსის წესით შერჩეულმა ნინო ათაბეგაშვილმა.

12.4. მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაკანსიაზე შემოვიდა 34 განაცხადი. 19 მაისს გამართულ გასაუბრებაზე 5 კანდიდატს შორის შეირჩა ლიკა წიკლაური, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას **1 ივნისიდან** შეუდგება.

12.5. სახალხო დამცველისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის სტატისტიკა

2014 წლის მაისის თვეში შემოვიდა 697 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ, განცხადებები დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი – 104
მართლმსაჯულების დეპარტამენტი – 195
რეგიონალური სამმართველო – 138
ბავშვთა ცენტრი – 43
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი – 17
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცენტრი – 30
ანალიტიკური დეპარტამენტი – 2



13. კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 577 048267
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე